



პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

**„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა**

(მესამე წარდგენა)

დეკემბერი, 2016 წელი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2016 წელი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	Error! Bookmark not defined.
1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში.....	3
1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიან პერიოდისათვის.....	3
1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები.....	7
2. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა	8
2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....	8
2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	12
2.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა.....	17
3. დანართები	1

1. ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში

ფისკალური გარემო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური გარემოს და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს შესაბამისი პერიოდისათვის მაკროეკონომიკური გარემოს მოსალოდნელი განვითარებისა და მასთან დაკავშირებული რისკების ანალიზს, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ფისკალური ინდიკატორების მიმოხილვას ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისათვის. შესაბამისად, ანგარიშის პირველი ნაწილი მიმოიხილავს აღნიშნულ საკითხებს.


1.1. ძირითადი ფისკალური რისკები საშუალოვადიანი პერიოდისათვის

კონკრეტული წლის ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრის და შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა მაკროეკონომიკური გარემოსა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე ფისკალური პოლიტიკის შესაძლო პასუხების ანალიზს - არა მხოლოდ შესაბამისი წლის, არამედ საშუალოვადიანი პერიოდისათვის.

2017 წელს და საშუალოვადიან პერიოდში ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება სამთავრობო პროგრამის - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“- შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს რადიკალურ ცვლილებებს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპების მისაღწევად. დასახულია რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდა.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ საბაზისო სცენარს 2017 წლისათვის: ეკონომიკური ზრდა 4%; ინფლაცია 4%; იმპორტის ზრდა (7.1%) და 2016 წლისთვის (განახლებული პროგნოზებით) ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის და იმპორტის ზრდის მოსალოდნელ მაჩვენებლებს, შესაბამისად 2.7%, 2%-ის და 2.1%-ის ოდენობით.


მაკროეკონომიკური გარემოსადმი მოლოდინების ცვლილების ანალიზისათვის პირველ რიგში, მიზანშეწონილია მესამე წარდგენით წარმოდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული 2017-2020 წწ. BDD აღნიშნული დოკუმენტის მაკროეკონომიკური პარამეტრები შევადაროთ ამავე დოკუმენტის პირველი ვერსიით (01.06.2016წ.), 2016-2019წწ. BDD დოკუმენტის საბოლოო ვერსიით და აგრეთვე, პირველი წარდგენის თანმხლები 2017-2020 წწ. BDD დოკუმენტის პარამეტრებს საშუალოვადიანი პერიოდისათვის.



დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განსხვავებული ვერსიებით

როგორც დიაგრამიდან ვლინდება, BDD დოკუმენტის საწყისი ვერსიებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის 5.5%-ს შეადგენდა, პირველი წარდგენის BDD დოკუმენტით, რომელიც ეკონომიკური ზრდის უფრო კონსერვატიული სცენარით გამოირჩეოდა, აღნიშნული მაჩვენებელი 4.0%-ს შეადგენდა და 2020 წლისთვის ეტაპობრივად აღწევდა 5.5 %-იან ნიშნულს. წარმოდგენილი დოკუმენტით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2017 წლისთვის ასევე 4%-ის დონეზეა პროგნოზირებული და 2020 წლისთვის 6.0%-იან ნიშნულს აღწევს.

რაც შეეხება სამოხმარებლო ფასების ინფლაციას, აღნიშნული მაჩვენებელი თავდაპირველი (მიმდინარე წლის დასაწყისსა და შუალედში წარდგენილი) პროგნოზებით, 2017 წლისათვის 5.0%-ს შეადგენდა და ეტაპობრივად მცირდებოდა 4.0%-იან ნიშნულამდე 2019-2020 წლისათვის, პირველი წარდგენით მოცემული დოკუმენტით, წლიური ინფლაციის პროგნოზი 2017-2020 წლისათვის 4.0%-ს უტოლდებოდა, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტით, არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე (ეროვნული ბანკის მონაცემებით ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2016 წელს 5 პროცენტს, 2017 წლისათვის - 4 პროცენტს, ხოლო 2018 წლისათვის - 3 პროცენტს შეადგენს), 2017 წელს ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 4%, ხოლო 2018-2020 წლებში 3.0 პროცენტის დონეზე იქნება.




დიაგრამა 2: ინფლაციის პროგნოზები ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის განსხვავებული ვერსიებით


რაც შეეხება საბაზისო სცენარისაგან განსხვავებულ განვითარებებს, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან ერთად (რომელიც ასახავს იმ საბაზისო სცენარს, რომელსაც ეყრდნობა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენილი და ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები), 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტს თან ერთვის ინფორმაცია გამოყენებული საბაზისო მაკროეკონომიკურ დაშვებებთან დაკავშირებულ რისკებზე და აღნიშნული რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, საბიუჯეტო მაჩვენებლებზე მათი ზეგავლენისა და პოლიტიკის პასუხებზე, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში¹. შესაბამისად, ცალკეულ შესაძლო პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოყოფილია შემდეგი სცენარები:

¹ საერთაშორისო პრაქტიკით, ფისკალური რისკი განიმარტება, როგორც ფისკალური აგრეგატების გადახრები იმ მოსალოდნელი მაჩვენებლებისაგან, რომლებიც განისაზღვრა ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ან ფისკალური პროგნოზების ფორმირებისას. ფისკალური რისკების ძირითად წყაროებად გამოყოფენ მაკროეკონომიკური ცვლადების მოულოდნელ ცვლილებას და სახელმწიფოს პირობით ვალდებულებებს. რიგ შემთხვევებში ფისკალური რისკების გაუთვალისწინებლობა, მაგალითად, მაკროეკონომიკური გარემოს მოულოდნელი განვითარების შედეგად სახელმწიფოს დამატებითი დანახარჯები, ან გადახრები შემოსავლების მოსალოდნელი


- **ოპტიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე მაღალ ეკონომიკურ ზრდას და მაღალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 5.4% და ინფლაცია 5.4%, 2017 წლისათვის), რაც გაზრდის ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს².
- **პესიმისტური სცენარი**, რომელიც ეყრდნობა 2017 წლისა და საშუალოვადიანი პერიოდისათვის საბაზისო სცენარზე დაბალ ეკონომიკურ ზრდას და დაბალ ინფლაციას (კერძოდ, ეკონომიკური ზრდა 2.6% და ინფლაცია 2.6%, 2017 წლისათვის), რაც შეამცირებს ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს (იხ. ცხრილი 1) .



დიაგრამა 3: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელები განსხვავებული სცენარებით 2017 წლისათვის (მლნ ლარი)




დიაგრამა 4: ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები და გადასახდელები განსხვავებული სცენარებით 2020 წლისათვის (მლნ ლარი)



დიაგრამა 5: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2017 წლისათვის (მლნ ლარი)

დონიდან, იწვევს სახელმწიფოს ვალდებულებების ზრდას, რეფინანსირების სიძნელეებს და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მოკლე და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევაზე დაყრდნობით, ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა/გამჭვირვალობა პოზიტიურ კავშირშია ქვეყნის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგთან და მის წვდომასთან საერთაშორისო კაპიტალურ ბაზრებზე (Ter-Minassian T., 2008, „Fiscal Risks—Sources, Disclosure, and Management“, IMF Working Paper, (Washington, DC: International Monetary Fund)).

² აღნიშნული სცენარი გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს პოზიტიური განვითარების შენარჩუნებას მთელი საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში.



დიაგრამა 6: ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და ვალდებულებების ზრდა განსხვავებული სცენარებით 2020 წლისათვის (მლნ ლარი)

რაც შეეხება შესაბამისი სცენარებისათვის საბიუჯეტო აგრეგატების მოსალოდნელ ცვლილებას და მთავრობის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკის პასუხებს (იხ. დიაგრამები 3-6):

- **საბაზისო სცენარის შემთხვევაში**, 2017 წლისათვის მიმდინარე წელთან შედარებით გათვალისწინებულია ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის ზრდა 9.2%-ით (888 მლნ ლარით), ხოლო ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები იზრდება, შესაბამისად, 3.1%-ით (277 მლნ ლარით) და 44.6%-ით (513 მლნ ლარით). ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია -0.2%-ის დონეზე მშპ-სთან მიმართებაში. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს (2017-2020წწ.), ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) მასშტაბური ზრდა წლიურად საშუალოდ 32.5%-იანი ზრდის ტემპით და ასევე მიმდინარე ხარჯების გაზრდაც (2016 წელთან შედარებით 2020 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 13.2%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა _ 204.6%-ით).
- **პოზიტიური სცენარის შემთხვევაში**, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისათვის 191 მლნ-ით იზრდება საბაზისოსთან შედარებით. აღნიშნულის პასუხად, წარმოდგენილი სცენარით არაა გათვალისწინებული მიმდინარე ან ე.წ. კაპიტალური ხარჯების ზრდა (როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტშია მითითებული, შესაძლოა ნაწილობრივ გაიზარდოს კაპიტალური ხარჯები. ხოლო ჭარბი შემოსავლების დარჩენილი ნაწილით შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი). რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ცვლილებები საბაზისო სცენარს უტოლდება, კერძოდ, 2016 წელთან შედარებით 2020 წლისათვის გათვალისწინებულია მიმდინარე ხარჯების ზრდა 13.2%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების (ე.წ. კაპიტალური ხარჯების) ზრდა 204.6%-ით.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, საყურადღებოა, რომ ოპტიმისტური სცენარით გათვალისწინებული ფისკალური პოლიტიკის პასუხები, კერძოდ, მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების სტაბილურობის შენარჩუნება ბიუჯეტის დეფიციტის გაუმჯობესებისათვის მოითხოვს მკაცრ ფისკალურ დისციპლინას, რაც შესაძლებელია რთულად განსახორციელებელი იყოს.


- **ნეგატიური სცენარის შემთხვევაში**, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი საბაზისოსთან შედარებით 2017 წლისათვის 184 მლნ ლარით მცირდება. აღნიშნულ სცენარში მთავრობის პოლიტიკის პასუხად წარმოდგენილია ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური სიდიდის შენარჩუნება და ამისათვის 2017 წლისათვის გათვალისწინებულია საბაზისოსთან შედარებით კაპიტალური ხარჯების 184 მლნ ლარით შემცირება და მიმდინარე ხარჯების იმავე დონეზე შენარჩუნება (ასევე, შესაძლოა ნაწილობრივ შემცირდეს მიმდინარე ხარჯებიც). თუმცა საშუალოვადიან პერიოდში არ არის გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯების შემცირება (როგორც ეს იყო წარმოდგენილი პირველი წარდგენის თანმხლებ BDD დოკუმენტში), ზრდა დაგეგმილია შედარებით ნაკლები ოდენობით, კერძოდ 2016 წელთან

შედარებით 2020 წლისათვის გათვალისწინებულია ე.წ. კაპიტალური ხარჯების ზრდა 118.4%-ით (მიმდინარე ხარჯები გაიზარდება საბაზისო სცენარის დონეზე, 13.2%-ით).

1.2. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

რაც შეეხება კონკრეტული პერიოდისათვის საბიუჯეტო(ფისკალური) პოლიტიკის ანალიზს, პირველი საკითხი მისი მიმართულების- მასტიმულირებელი(ექსპანსიური) თუ შემზღუდველი - შეფასებაა. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულებას გულისხმობს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. საერთაშორისო პრაქტიკით, მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული ფისკალური ინდიკატორები (ფისკალურ ინდიკატორებთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფისკალური გარემოს მიმოხილვა, ივნისი, 2015). ხაზგასასმელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული ნაერთი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8).

პირველ რიგში, ფისკალური ინდიკატორები მოიცავს ბიუჯეტის მთლიან სალდოს მაჩვენებელს, რომელიც არსებული კანონმდებლობით გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით. ამასთანავე საყურადღებოა განხილულ იქნას მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად გამოიყენება. მთლიანი ფისკალური ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს, კორექტირებულს ოპერაციების რეკლასიფიკაციით³. აღნიშნული ინდიკატორების დინამიკა წარმოდგენილია დიაგრამაზე 7.



დიაგრამა 7: ბიუჯეტის ბალანსი %-უ-ლად მშპ-სთან

³ ბიუჯეტის ბალანსთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეთოდოლოგიური განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ

როგორც დიაგრამა 7-დან ჩანს, 2017 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის ბალანსის (GFSM 2001) მაჩვენებელი შემცირების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -1.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2017 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობაც შემცირებულია -4.1% ის დონემდე.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ბალანსის ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს როგორც ეკონომიკური ციკლის (გამოშვების გაპის) ზეგავლენას ფისკალურ გარემოზე (ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გავლენით), ისე მთავრობის დისკრეციულ ფისკალურ ღონისძიებებს.

2. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლების მიმოხილვა

2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2017 წლისთვის განსაზღვრულია 11,457 მლნ ლარის დონეზე, რაც 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელს აჭარბებს 1,312 მლნ ლარით (13%-ით). აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წლისათვის (გასულ წელთან შედარებით) 255 მლნ ლარს (3%-ს) შეადგენს.

დასახელება	2015	2016	2016	10 თვე/2016 წლიური გეგმა	2017 წელი	2017 პროექტი (III წარდგენა) / 2016 გეგმა	
	ფაქტი	გეგმა	10 თვე		(III წარდგენა)	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსულობები	9,890	10,145	8,076	80%	11,457	1,312	13%
შემოსავლები	8,170	8,555	6,963	81%	9,489	934	11%
გადასახადები	7,550	7,980	6,579.37	82%	8,820	840	11%
გრანტები	316	255	153.53	60%	284	29	12%
სხვა შემოსავლები	305	320	230.13	72%	385	65	20%
არაფინანსური აქტივების კლება	287	225	173	77%	90	-135	-60%
ფინანსური აქტივების კლება	72	90	52	58%	85	-5	-6%
ვალდებულებების ზრდა	1,361	1,275	888	70%	1,793	518	41%
საგარეო	1,047	1,075	587	55%	1,393	318	30%
საშინაო	315	200	301	151%	400	200	100%

ცხრილი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

კანონპროექტის გათვალისწინებული შემოსულობების მაჩვენებლის ზრდის წარმოდგენილი ტემპი უკავშირდება ერთი მხრივ, შემოსავლების 934 მლნ ოდენობით (საგადასახადო შემოსავლების 840 მლნ ლარით ზრდის გავლენით) და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების 518 მლნ ლარის ოდენობით ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, არაფინანსური აქტივების კლების(მათ შორის, პრივატიზების) წლიური გეგმის 135 მლნ ლარით (60%-ით) შემცირებას. ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მაჩვენებლის ზრდა თავის მხრივ ითვალისწინებს საგარეო და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდას შესაბამისად, 318 მლნ ლარითა და 200 მლნ ლარით. ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (სესხების დაფარვით მიღებული სახსრები) განსაზღვრულია 85 მლნ ლარის ოდენობით, ამასთან აქვე საყურადღებოა, რომ 2016 წლის 10

თვის მდგომარეობით, აღნიშნული მუხლით შემოსულობების (ფინანსური აქტივების ზრდა) შესრულება წლიური გეგმური მოცულობის მხოლოდ 58%-ს შეადგენს.

რაც შეეხება შემოსავლებს, შემოსავლების (შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს) საპროგნოზო სიდიდე 2016 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 934 მლნ ლარით და შეადგენს 9,489 მლნ ლარს, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების 840 მლნ ლარის ოდენობით ზრდის გავლენით.

2.1.1. საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა ნაერთი ბიუჯეტით წარმოდგენილი მაჩვენებლების შედარება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლებთან. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2017 წლისათვის 370 მლნ ლარით მეტია წარდგენილ პროგნოზზე, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლისათვის მთავორბის პროგნოზი უფრო კონსერვატიულია და საბიუჯეტო ოფისის პროგნოზზე ნაკლებია 123 მლნ ლარით, გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლისათვის გადასახადებში წარდგენილი სხვაობა მხოლოდ მცირედით შეიძლება აიხსნას მიმდინარე წელს მაკროეკონომიკური გარემოს განსხვავებული პროგნოზებით.

	2015		2016		2017		
	ფაქტი	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	სხვაობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	სხვაობა
საგადასახადო შემოსავლები	8010.8	8862.9	8,740	-122.9	9170.3	9,540	370
პირდაპირი გადასახადები	3565.4	3895.2	4260.0	364.8	3575.5	4058.0	482
არაპირდაპირი გადასახადები	4445.4	4967.7	4480.0	-487.7	5594.7	5482.0	-113

ცხრილი 3: ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2020 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილ მაჩვენებლებს, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი **8,820 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 2016 წლისათვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 10.5%-ით აღემატება.** გადასახადების ცალკეული სახეებისათვის, 2017 წლის კანონპროექტით მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე მასშტაბური შემცირება გათვალისწინებულია მოგების გადასახადისათვის 299 მლნ ლარის ოდენობით(30%-ით), ხოლო აქციზისათვის და დღგ-სათვის გათვალისწინებულია ზრდა შესაბამისად, 615 მლნ ლარის და 484 მლნ ლარის ოდენობით. მოგების გადასახადის პროგნოზის შემცირება განპირობებულია მოგების გადასახადის რეფორმით, რომლის შედეგადაც 2017 წლიდან დაიბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება (იხ. ცხრილი 4)., ხოლო აქციზის გადასახადის ზრდა უკავშირდება წარმოდგენილ საგადასახადო ცვლილებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ცალკეული ტიპის აქციზური საქონლის დაბეგრისათვის.

	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საგადასახადო შემოსავლები	7,549.6	7,980.0	8820	840	10.5%

საშემოსავლო გადასახადი	2,052.4	2,086.0	2570	484	23.2%
მოგების გადასახადი	1,025.2	980.0	681	-299	-30.5%
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,505.5	3,802.0	3779	-23	-0.6%
აქციზი	870.7	1,012.0	1627	615	60.8%
იმპორტის გადასახადი	69.3	75.0	76	1	1.3%
სხვა გადასახადები	26.5	25.0	87	62	248.0%

ცხრილი 4: სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2015-2017 (მლნ ლარი, %)

საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი

	2010-2011წწ	2011-2012წწ	2012-2013წწ	2013-2014წწ	2014-2015წწ	2015-2016წწ*	2016-2017წწ*
						გეგმა	პროექტი
საგადასახადო შემოსავლები	26.3%	8.8%	-0.4%	10.9%*	8.2%	5.7%	10.5%
საშემოსავლო გადასახადი*	28.6%	13.7%	9.7%	6.9%*	7.0%	1.6%**	23.2%
						17.3%**	20.1%**
მოგების გადასახადი	44.5%	2.3%	-5.2%	2.8%	23.7%	-4.4%	-30.5%
დამატებული ღირებულების გადასახადი	26.4%	9.2%	-6.3%	15.8%	6.3%	8.5%	-0.6%
აქციზი	9.7%	7.2%	9.5%	12.2%	7.5%	16.2%	60.8%
იმპორტის გადასახადი	32.4%	-3.4%	-0.8%	6.2%	-27.0%	8.2%	1.3%
სხვა გადასახადები	-40.4%	-10.3%	-26.2%	-9.1%	9.8%	-5.7%	248.0%

ცხრილი 5: საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი (% 2010-2017 წწ)

** 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული სახსრების ზრდის ტემპის შემცირება განპირობებულია საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რომლის თანახმად საშემოსავლო გადასახადის მთელი რიგი სახეობებიდან მიღებული შემოსავლები 2016 წლიდან მიიმართება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. მიმდინარე წელს აღნიშნული მიმართულებით მიმართული სახსრები დაახლოებით 321 მლნ ლარს შეადგენს, თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშებისას როგორც მიმდინარე ისე 2017 წელს, მაშინ ამ ეტაპისთვის მაჩვენებელი დაახლოებით 17.3%-ით არის გაზრდილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო 2017 წლისთვის დაგეგმილი ზრდა დაახლოებით 20%-ს გაუტოლდება.

გადასახადების სახეების მიხედვით, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი მაჩვენებლების შედარებით საბიუჯეტო ოფისის დამოუკიდებელ პროგნოზებთან 2016 და 2017 წწ.სათვის მცირედ სირთულეს უკავშირდება, ერთიანი საგადასახადო კოდის დანერგვის გავლენით. თუმცა, პირველადი შეფასებით, განსხვავებები უკავშირდება პირდაპირი გადასახადების - მოგების გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის განსხვავებულ პროგნოზებს. კერძოდ, მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი პირველ წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 158 მლნ ლარით და 2017 წლისათვის ასამოქმედებელი რეფორმის გავლენის გარეშე ზრდის სავარაუდო ტემპი 22%-ს უტოლდება. აღნიშნული მიმდინარე წლის ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით დამატებით განმარტებას საჭიროებს. ასევე მაღალი

ზრდის ტემპია გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადისათვის, რომელიც მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 23%-ით იზრდება, რაც 2017 წლის საპროგნოზო ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით ზედმეტად ოპტიმისტურად შეიძლება შეფასდეს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წლის პროექტით წარმოდგენილი საშემოსავლო და მოგების გადასახადის პროგნოზები ოპტიმისტურად შეიძლება შეფასდეს.

2.1.2. შემოსულობების სხვა კომპონენტები

წარმოდგენილი კანონპროექტით, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით 65 მლნ ლარით (20%-ით) იზრდება და შეადგენს 385 მლნ ლარს. ცვლილება ძირითადად ეხება საკუთრებიდან შემოსავლებს, რომლის გეგმური მოცულობაც იზრდება 63 მლნ ლარით (98%-ით) და 127.4 მლნ ლარით არის განისაზღვრული. ზრდა ძირითადად უკავშირდება დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების 63.9 მლნ ლარით (2556%-ით) ზრდას. აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებით ბარათში მითითებული არ არის.

	2015 წელი ფაქტი	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი (III წარდგენა)	2017 წ. პროექტი / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
სხვა შემოსავლები	305.3	320	385.0	65.00	20%
შემოსავლები საკუთრებიდან	69.6	64.5	127.4	62.90	98%
პროცენტები	46.9	50	46.0	-4.00	-8%
დივიდენდები	0.4	2.5	66.4	63.90	2556%
რენტა	22.3	12	15.0	3.00	25%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	76.3	75.9	80.2	4.30	6%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	71.9	70.8	76.2	5.40	8%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	4.4	5.1	4.0	-1.10	-22%
საწესები (ჯარიმები და საურავები)	63.5	70	60.0	-10.00	-14%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	25.5	2.4	2.4	0.00	0%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	70.4	107.2	115.0	7.80	7%

ცხრილი 6: სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება შემოსულობების სხვა კომპონენტებს, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი, წარმოდგენილი კანონპროექტით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით მცირდება 135.0 მლნ ლარით (60%-ით) და შეადგენს 90 მლნ ლარს. შემცირება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან, ძირითადად მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვიდან მისაღებ შემოსულობებთან, რომლის გეგმური მაჩვენებელი მცირდება 120 მლნ ლარით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან ხორციელდება მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვა. ამ მიმართულებით 2015 წელს ბიუჯეტში ჩაირიცხა 182 მლნ ლარი, 2016 წელს დაგეგმილია 150 მლნ ლარის მიღება, ხოლო 2017 წელს აღნიშნული თანხების საპროგნოზო სიდიდე 30 მლნ ლარს უტოლდება. გარდა ამისა, ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 15 მლნ ლარით, 58.0 მლნ ლარამდე (მიმდინარე წლის 10 თვის მდგომარეობით, აღნიშნული შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 41%-ს შეადგენს), ხოლო მიწის რეალიზაციიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 2016 წლის გეგმური მაჩვენებლის დონეზე (2.0 მლნ ლარი).

	2015 წელი შესრულება	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი	2017 წ. პროექტი (III წარდგენა) / 2016 წ. გეგმა	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
არაფინანსური აქტივების კლება	287.3	225.0	90.0	-135.0	-60.0%
ძირითადი აქტივები	102.5	73.0	58.0	-15.0	-20.5%
არაწარმოებული აქტივები	184.9	152.0	32.0	-120.0	-78.9%
მიწა	3.1	2.0	2.0	0.0	0.0%
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	181.7	150.0	30.0	-120.0	-80.0%

ცხრილი 7: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 11,415 მლნ ლარის დონეზე და 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 13%-ს შეადგენს. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ზრდა გადასახდელების ყველა კომპონენტისთვის. კერძოდ, ხარჯების ზრდის მაჩვენებელი 578 მლნ ლარს (7%-ით), ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 362 მლნ ლარსა (89%-ს), ხოლო ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი 82 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს, აღნიშნული მაჩვენებლის საგეგმო ოდენობა იზრდება 249 მლნ ლარით, 33%-ით). ხარჯების ზრდა ძირითადად უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის (256 მლნ ლარით, რაც ნაწილობრივ დაკავშირებულია სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი ხარჯების ზრდასთან), სუბსიდიების (155 მლნ ლარით) და საქონლისა და მომსახურების მუხლით (107 მლნ ლარით) ხარჯების ზრდას. ასევე გათვალისწინებულია გრანტების (59 მლნ ლარით) მუხლით და საპროცენტო ხარჯებისა (29 მლნ ლარით) და სხვა ხარჯების (20 მლნ ლარით) მუხლით ხარჯების მოცულობა. ამასთან შემცირებულია შრომის ანაზღაურების (50 მლნ ლარით) მუხლით ხარჯები.

დასახელება	2015	2016	2016	10 თვე/2016 წლიური გეგმა	2017 წელი	2017 პროექტი (III წარდგენა) / 2016 გეგმა	
	ფაქტი	გეგმა	10 თვე		პროექტი (III წარდგენა)	სხვაობა	%-ული ცვლილება

გადასახდელები	9,703	10,145	8,293	82%	11,415	1,270	13%
ხარჯები	8,158	8,543	7,085	83%	9,121	578	7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	680	750	515.1	69%	999.04	249	33%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	445	407	383.5	94%	769.02	362	89%
ვალდებულებების კლება	420	444	309.9	70%	526.187	82	19%

ცხრილი 11: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2015-2017 წლებში (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების განაწილებას მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, წარმოდგენილი კანონპროექტით ასიგნებების ზრდა შეეხება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელებსა და ცალკეულ მხარჯავ დაწესებულებებს. მხარჯავი დაწესებულებების დონეზე გადასახდელების მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით ყველაზე დიდი ოდენობით ზრდა(ნომინალური გამოსახულებაში) გათვალისწინებულია შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (308.0 მლნ ლარით), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (275.4 მლნ ლარით), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (253.8 მლნ ლარით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (141 მლნ ლარით), საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (78 მლნ ლარით). ხოლო ყველაზე დიდი ოდენობით შემცირება შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (63.4 მლნ ლარით), საქართველოს სასაქონლო უწყებებისა და პრობაციის სამინისტრო (14.7 მლნ ლარით), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (10 მლნ), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (8.5 მლნ ლარი). ქვემოთ წარმოდგენილია ის მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც კანონპროექტით მიმდინარე წლის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ასიგნებების ყველაზე მეტად ზრდა/შემცირება (ნომინალურ გამოსახულებაში თანხის მოცულობის მიხედვით).

დასახელება		2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2017 პროექტი/ 2016 გეგმა	
				სხვაობა	%-ლი ცვლილება
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	950,000.00	1,258,047.00	308,047.00	32%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	95,100.00	370,467.00	275,367.00	290%
60 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,957,745.20	2,212,805.80	255,060.60	13%
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,162,000.00	3,415,800.00	253,800.00	8%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	975,190.00	1,116,165.00	140,975.00	14%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	670,000.00	748,000.00	78,000.00	12%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	90,000.00	136,820.00	46,820.00	52%
31 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	100,000.00	118,000.00	18,000.00	18%
09 00	საერთო სასამართლოები	52,000.00	69,000.00	17,000.00	33%

33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	97,000.00	99,615.00	2,615.00	3%
-------	---	-----------	-----------	----------	----


ცხრილი 12: 10 მხარჯავი დაწესებულება, რომელთათვის გათვალისწინებულია ასიგნებების ზრდა 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით (ათასი ლარი)

დასახელება	2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი	2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2017 პროექტი/ 2016 გეგმა	
			სხვაობა	%-ლი ცვლილება
37 00 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	321,350.00	257,995.00	-63,355.00	-20%
27 00 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	153,800.00	139,100.00	-14,700.00	-10%
30 00 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	595,000.00	585,000.00	-10,000.00	-2%
26 00 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	70,528.40	62,015.00	-8,513.40	-12%
23 00 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	90,000.00	82,300.00	-7,700.00	-9%
38 00 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	42,100.00	35,700.00	-6,400.00	-15%
04 00 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	20,000.00	16,500.00	-3,500.00	-18%
36 00 საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	135,000.00	132,300.00	-2,700.00	-2%
59 00 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	5,200.00	3,600.00	-1,600.00	-31%
22 00 საქართველოს დაზვერვის სამსახური	15,000.00	13,500.00	-1,500.00	-10%

ცხრილი 13: 10 მხარჯავი დაწესებულება, რომელთათვის გათვალისწინებულია ასიგნებების შემცირება 2016 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით. (ათასი ლარი)

რაც შეეხება მხარჯავი დაწესებულებების განაწილებას ასიგნებების და შრომის ანაზღაურების მუხლის ხარჯების კლების/შენარჩუნების/ზრდასთან მიმართებაში 2016 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2017 წლის კანონპროექტით, გათვალისწინებულია 36 მხარჯავი დაწესებულებისთვის ასიგნების შემცირება, 2016 წლის გეგმური მაჩვენებლის დონეზე რჩება ასიგნება 10 მხარჯავი დაწესებულებისთვის, ხოლო 16 მხარჯავ დაწესებულებას უმცირდება ასიგნება. დაახლოებით ანალოგიურ სურათს აჩვენებს შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები (იხ. დიაგრამა). აქვე აღსანიშნავია, რომ შრომის ანაზღაურების მუხლით 50 მლნ ლარით ზრდა ძირითადად დაკავშირებულია: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (26.1 მლნ ლარი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (9.9 მლნ ლარი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (9.0 მლნ ლარი) შრომის ანაზღაურების ხარჯების კლებასთან. ამასთან, მცირედით შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები ეზრდებათ შემდეგ მხარჯავ დაწესებულებებს: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (7.0 მლნ ლარი), საერთო სასამართლოებს (2.7 მლნ ლარი) და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (1.2 მლნ ლარი) (იხ. ცხრილი).

სიხშირეთა განაწილება მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით



შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯები	2016 წლის ბიუჯეტის კანონი	2017 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი	2017 პროექტი/ 2016 გეგმა	
			სხვაობა	%-ლი ცვლილება
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	404,958	378,895	-26,063	-6%
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	64,310	54,365	-9,945	-15%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	394,000	384,990	-9,010	-2%
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	100,000	118,000	18,000	18%
საერთო სასამართლოები	52,000	69,000	17,000	33%
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	20,770	22,005	1,235	6%

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელების 19%-ს შეადგენს, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლის ზრდა 255.1 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების 77 მლნ ლარით, საგარეო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის 56 მლნ ლარით და ავტ. რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების 53 მლნ ლარით ზრდას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის კლება შეეხო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელ ფონდს (20 მლნ ლარით) და ასევე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს (10 მლნ ლარით).

	2016 წელი გეგმა	2017 წელი პროექტი	2017 წ. პროექტი/2016 წ. გეგმა	
			სხვაობა	%-ლი ცვლილება
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,957,745	2,212,806	255,061	13%

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	628,700	685,000	56,300	9%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	240,000	284,000	44,000	18%
საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	18,000	7,900	-10,100	-56%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	621,700	675,080	53,380	9%
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	5,000	5,000	0	0%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50,000	40,000	-10,000	-20%
